მე მივხვდი მაგას შენსა ბრალებსა

1 მე მივხვდი მაგას შენსა ბრალებსა,
მე განგიცხადებ დანამალებსა:
რად არა ჰრიდენ განსაკრძალებსა,
ხელი რად მიჰყავ ძველსა ვალებსა,
რად მიჰყევ სხვათა ჭკუამთვრალებსა?
ნებით მოშორდი ვარდის კვალებსა!
არ შეგიბრალებ შეუბრალებსა,
თუმცა უყვარდი მისსა თვალებსა!
რად არა ჰრიდენ განსაკრძალებსა?

2 რადგან ძლეულხარ შენისა ნებით,
თავა რაღად მართლობ თანის-თანებით,
ან რას იყოვნი ჟამსა ხანებით,
რას ინუგეშებ ცრემლსა ბანებით?
ხელი აიღევ მაგ სავანებით,
შემწე იძიე ბანის-ბანებით!
აგრე ვერ მომკი ვარდსა ყანებით!
რად გულს განიწონ საკვდად დანებით?
სხვას გირჩევ გზასა და სხვას ძალებსა!

3 მივედ, ყარიბო, უთხარ ბულბულსა,
მას შვენიერსა, ტკბილ-ხმა უსულსა:
შეგამუდარებს ქველსა სუმბულსა,
სიტყვას დაუფენს, ვითა ბუმბულსა;
შუა შემოვლენ, შეუქმენ გულსა,
ვარდთანა მივლენ კარდარაზულსა,
მოახსენებენ მაგ შენსა წყლულსა;
ვიცი, გიხსნიან ბედითა კრულსა,
მაგრა გახსოვდეს გულსა სალებსა!

4 თუ ნახო ვარდის კარნი ღიანი
ან მოგეგებნენ ნაზნი იანი, -
ჩემ მაგივრად იგი ჭკვიანი
ნარგიზი ნახე, ქცევა-მზიანი,
ესრე უამბე: იყავ სვიანი,
ანუ სად ვვლიდე კეთილ-გზიანი?
მარდი მიკითხე, აგრევ იანი,

მეცა გახსოვდე მცირე-დღიანი,
მომიგონებდე ფერნამკრთალებსა!

5 ნუთუმცა ნახო ვარდი მცინარე,
გარდმოუტევე თვალთა მდინარე,
პირველად ჩემგან გულმომდინარე!
სალამი ჰკადრე არ-საწყინარე,
ეს შენათვალი მიუწინარე;
მეცა ვიყავ-თქო თავსაჩინარე,
ადგილი მქონდა დასაბინარე!
გირჩევ, შეგბრალდეს გულნამტკინარე,
მანტორ, გაბრალებ ფესვით ბრჭალებსა!